

ნუნუ ჩარკვიანი, სოფიკო ყიფიანი, ნათია ჯიქია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

nunu.charkviani@atsu.edu.ge; sopio.kipiani@atsu.edu.ge; natia.jikia@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.08.101>

ინგლისურენოვანი კონსტრუქციების თარგმნის თავისებურებანი ქართულ ენაში

უცხო ენის შესწავლა რთული პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ქართველი ახალგაზრდის მიერ ინგლისური ენის დაუფლების საკითხს ეხება. ქართული და ინგლისური ენების განსაკუთრებული სტრუქტურები დიდ დაბრკოლებას უქმნის როგორც შემსწავლელთ, ასევე მასწავლებლებს. ინგლისური ენის შემსწავლელთა ყველაზე დიდი გამოწვევა ამ ენების ბუნებითაა განპირობებული, ქართული იბერიულ-კავკასიური ენების ჯგუფს მიეკუთვნება და სინთეზურია, ხოლო ინგლისური - ინდოევროპულს და ანალიზურია.

ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი (კონტრასტული) შესწავლა გვეხმარება ორი არამონათესავე ენას შორის არსებული მსგავსება-განსხვავების გამოვლენაში. ამ ენების შეპირისპირება თვალსაჩინოს ხდის იმ განსხვავებას, რომლებიც შესაძარებელ ენებში დასტურდება, ანუ ავლენს მათ სპეციფიკას, მეორე მხრივ, წარმოადგენს ცალკეული ენის შეგნით შესასწავლი მოვლენის ბევრ ახალ, მანამდე გაუთვალისწინებელ მხარეს, აზუსტებს მათ გამოვლენას ენასა და მეტყველებაში, გვიჩვენებს ენობრივი საშუალებების დისტრიბუციის და მათი რეალიზაციის თავისებურებებს.

ენის თავისების ბუნებრივ უნართან გვაქვს საქმე, როცა “ენობრივი სტრუქტურის გარკვეული ნაწილი ბავშვს გენეტიკურად ეძლევა”, თუმცა მათ შემდგომში უწევთ შეისწავლონ ის ენობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამ ენას სხვა ენებისგან გამოარჩევს. ბავშვის ენობრივი განვითარება ეტაპობრივად მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა რომ განვითარების მიმდევრობა თითქმის იგივეა ნებისმიერი ბავშვისა და ენისათვის, პროგრესის ტემპი შეიძლება განსხვავებული იყოს ბავშვებს შორის. ამას იმით ხსნიან, რომ მასზე მოქმედებს ინდივიდუალური ფაქტორები, მაშინ როდესაც მიმდევრობა “ძირითადად განპირობებულია კონსტრუქციების სემანტიკური და გრამატიკული სირთულის ხარისხით” [2: 14]. “მეორე ენის ეთვისების საწყის ეტაპზე პირველი ენის ცოდნა ამ პროცესის ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს. ეს გულისხმობს ენის ცოდნას, როგორ ფუნქციონირებს (ზოგადად) ენა, ისევე როგორც სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლების ფლობას, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივია რელევანტური მეორე ენის გამოყენებისას” [2:17] “უცხო ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე ადგილი აქვს დედა ენის და სხვა ნაცნობი ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მექანიკურ გადატანას შესასწავლ ენაში. ამ ენათა ენობრივი მოვლენების თანხვედნილობა ან მათი მაქსიმალური მსგავსების შემდგომში გადმოტანა დადებითია, იგი აიოლებს და აჩქარებს საწავლის პროცესს, მაგრამ ამ ენების შესაბამისი ენობრივი მოვლენათა მოჩვენებითი თანხვედრილობა სინამდვილეში კი არსებითი განსხვავებულობის ანდა ამ მოვლენის შესასწავლ ენაში სულაც არარსებობის შემთხვევაში, გადატანას, როგორც წესი, მივყავართ შეცდომამდე ან დამახინჯებამდე, რაც აძნელებს და აფერხებს ენის შესწავლას. ასეთ მავნე გადატანას ინტერფერენცია, ანუ ფიგურალურად რომ ვთქვათ, ერთი ენის მეორეს „საქმეებში

უხეში ჩარევა“ ეწოდება” [3: 18]. ენათა შორის გავლენები, ანუ წინარე ცოდნის პირველი ენიდან მეორე ენაში ტრანსფერი, ერთ-ერთი იმ პროცედურათაგანია, რომელიც ენათაშორის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს. პოზიტიური ტრანსფერი გულისხმობს პირველი ენის ენობრივი სტრუქტურები ან წესები რომ გამოიყენება მეორე ენაში და მათი გამოყენება ადეკვატური და უშეცდომოა მეორე ენისათვის. უარყოფითი ტრანსფერი კი (ინტერფერენცია), როცა პირველი ენის ენობრივი სტრუქტურები ან წესები გამოიყენება მეორე ენაში და მათი გამოყენება არაადეკვატური და მცდარია მეორე ენისათვის [2:18] შემსწავლელთა ყველაზე დიდი გამოწვევა ინტერფერენციაა, რომელსაც მისი სწავლების პროცესის ყველა ეტაპზე ვხვდებით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინტერფერენციას, როგორც ენობრივ მოვლენას, ადგილი აქვს არა მარტო მშობლიური ენიდან უცხო ენაში, არამედ უცხო ენიდან მშობლიურში. ეს მაშინ ხდება, როდესაც ესა თუ ის პიროვნება სცილდება თავის ბუნებრივ გარემოს და სწავლობს მისთვის უცხო ენას. დროთა განმავლობაში იგი კარგავს მშობლიური ენის გარკვეულ ლექსიკურ მარაგს, ასევე, გრამატიკული სტრუქტურები და ზოგჯერ ფონეტიკური მოვლენებიც უცხო ხდება მისთვის. აქ შეინიშნება სწორედ უცხო ენის გავლენა მშობლიურ ენაზე. ასეთი გავლენა ხშირია მშობლიური ენის წარმოთქმასა და ინტორაციაზე, სიტყვათა არჩევანსა და წინადადების სტრუქტურულ მოდელებზე. იმისათვის, რომ გაუგებრობა აიცილონ მათთვის მშობლიურ ენაზე საუბრისას, ისინი ცდილობენ შესაფერი სიტყვების არჩევას. აზრის გადმოსაცემად უხდებათ უცხო ენის ზოგიერთი ელემენტის გამოყენება, რადგენ ვერ პოულობენ მათ მშობლიურ ენაში.

ჩვენი კვლევის მიზანია კონტრასტივიკა როგორც ლინგვისტური კვლევის ახალი დარგი, გამოვიყენოთ უცხო ენის (ჩვენს შემთხვევაში ინგლისური ენის) როგორც სწავლა/სწავლების, ასევე ერთი ენიდან მეორეზე (ინგლისური და ქართული) თარგმნის დროს. ენებს შორის ინტერფერენციის თავიდან არიდებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ თუკი გვეცოდინება ის მსგავსება-განსხვავება, რაც არსებობს ამ ენებში. სტუდენტთა შეცდომების საფუძველზე სასურველია გავაკეთოთ მოკლე შენიშვნა ახსნითი ფორმით და შემდგომ მივცეთ მათ შესატყვისი აქტივობები და სავარჯიშოები ინგლისური ენის სრულყოფილი ფორმის შექმნის მიზნით.

პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვაფიქრა ამ საკითხის განხილვის აქტუალობაზე, რასაც ყოველდღიურად ხვდება ინგლისური ენის მასწავლებელი ქართველ სტუდენტებთან მუშაობისას. ამაში ვგულისხმობთ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებს. იმედია სტატია მიაწოდებს მათ გარკვეულ მინიშნებებს განუვითარონ სტუდენტებს როგორც ენობრივი, ასევე საკომუნიკაციო კომპეტენცია, შეირჩეს ლექსიკის და გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები. სტუდენტების შეცდომების გასწორების კვალდაკვალ დაკვირვება მოვახდინეთ არა მხოლოდ სიტყვის სემანტიკურ თვისებებზე, არამედ გავაანალიზეთ რამდენად მრავალფეროვანია ის გრამატიკული ფორმები, რომელშიც ესა თუ ის ლექსიკური ერთეული იღებს ამათუ იმ სიტყვებთან კომბინაციაში, შეძლებისდაგვარად მივუთითეთ ის წესები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ურჩევს სტუდენტებს აწარმოოს სასურველი გრამატიკული ფორმა. შერჩეული ტიპური შეცდომების შეგროვება და მათი განაწილება უზრუნველყოფს მასწავლებლის მხრიდან ყურადღება გაამახვილოს მშობლიური ენის ინტერფერენციის თავიდან აცილებაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია თანამედროვე

მეთოდოლოგიის გამოყენება - დესკრიფციული, დისტიბუციული და მორფოსინტაქსური ანალიზის მეთოდების ერთობლიობა.

ინგლისური ენის ანალიტიკურმა და ქართული ენის სინთეზურმა სისტემამ დიდი გამოწვევები გაუჩინა ინგლისური ენის შემსწავლელთ. „ქართული ენის აგლუტანაციური ბუნება, ზმნური კატეგორიების სიმრავლე, პოლიპერსონალურობა, რთული გრამატიკული სტრუქტურა, უღლების არაერთგვაროვნება, დრო-კილოთა ფორმების სიმრავლე და პოლისემიურობა, ევროპული ენებისაგან განსხვავებით ზმნურ კატეგორიათა არსებობა (ვერსია, კონტაქტი, აქტი) [1:33] ყოველთვის ქმნის ინგლისური ენის შემსწავლელთა დაბნეულობას და გაუგებრობას, სირთულეებს ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნისას და პირიქით.“

სიტყვათა რიგის დაცვა ინგლისურ ენაში უზრუნველყოფს იმ წინადადების არსის სწორ გადმოცემას, რომელშიდაც შედის აღნიშნული სიტყვები. ინგლისურში სიტყვათა წინადადებაში არასწორი განლაგება აიხსნება იმით, რომ ქართველს ბრუნვის მარკერების დახმარებით შეუძლია ნებისმიერ ადგილზე დასვას წინადადების წევრები. მაგ: “კაცმა მოკლა დათვი”. შეგვიძლია ასევე გადმოვცეთ “დათვი კაცმა მოკლა” ან “მოკლა დათვი კაცმა”. ინგლისურ ენაში ასეთი ცვლილების დროს აზრი იცვლება. მაგ: “The man killed the bear” “the bear killed the man” მოქმედი სახელია მხოლოდ ის სიტყვა, რომელიც პირველ ადგილზეა. რიცხვში შეთანხმების შეცდომას მარტო ენის შემსწავლელებთან როდი ვხვდებით, სავალალოა, რომ ხშირად ჟურნალისტები ცოდავენ ამ საკითხში. ინტერფერენციას აქვს ადგილი, როცა “two pens” – ორი კალმისტრები ითარგმნება. ქართული ენის წესი მსაზღვრულ-საზღვრულის შეთანხმების საკითხში გავლენას ახდენს ინგლისურ ენაზე. ტელევიზიის გადაცემებში გვესმის ‘მრავალი ღონისძიებები, ბევრი მოვლენები’ და ა.შ. ქართული ენის ფლექსიათა სიმრავლის დამსახურებაა ის, რომ ხშირად ქართულში ნაკლები სიტყვაა საჭირო ერთი და იგივე აზრის გადმოსაცემად, არადა ენის შემსწავლელი აკეთებს პირდაპირ თარგმანს ინგლისურიდან. – “I put on my coat” - მე ჩავიცვი ჩემი პალტო (არასწორია) სწორია - “პალტო ჩავიცვი”. ‘ვ’ - პირველი პირის ნიშანი ზმნაში ცვლის პირის ნაცვალსახელს ‘მე’, ხოლო ‘ი’ - სათავისო ქცევის მარკერი კუთვნილებით ნაცვალსახელს ‘ჩემი’. ასევეა “He washed his face” - უნდა იყოს ‘პირი დაიბანა’ ან კიდევ “I brought some bread for him” - პური მივუტანე მას - 6 სიტყვა 3-მა სიტყვამ ჩაანაცვლა. Some - ნივთიერების სახელთან არ ითარგმნება, ხოლო for აღარ არის საჭირო იმიტომ რომ ზმნაში მოცემული უ პრეფიქსი სასხვისო ქცევას გადმოსცემს ქართულში. ქცევის კატეგორია ზმნისა ინგლისურს საერთოდ არ გააჩნია, მას ტერმინით ‘ვერსია’ იცნობენ. ზემოთაღნიშნულ შეცდომებს უმეტესად ვხვდებით ინგლისური ენის სწავლების შედარებით დაბალ საფეხურზე.

ინგლისურ ენაში ვნებითი გვარის ფორმებს მეტი გამოყენება აქვთ, ვიდრე ქართულში. ხშირად ვნებითი გვარი ქართული ენის მოქმედებითი გვარით გადმოიცემა. თუკი პირდაპირ თარგმანს შევასრულებთ წინადადებას ვერ გავმართავთ. მაგ: “Milk is brought every day” - რძე მოაქვთ, მაგრამ თარგმანი მოქმედებითი გვარით შესრულდა. პირდაპირი თარგმანი ასე იქნებოდა - “რძე მოიტანება ყოველდღე”. ან კიდევ “They are paid much more than we are” - არასწორია: ისინი ბევრად მეტია გადახდილი, ვიდრე. სწორია: მათ უხდიათ ჩვენზე ბევრად მეტს. “The house isn’t lived in” - სახლი არ არის ნაცხოვრები, უნდა იყოს: ამ სახლში არავის უცხოვრია. “his short stories sell easily” - ამ წინადადებაში ფორმა მოქმედებითი გვარისა გვაქვს, მაგრამ ქართულში ითარგმნება ვნებითად. “მისი მოკლე მოთხრობები ადვილად იყიდება”. (‘ი’ ნიანი ვნებითი)

შედარებით მაღალ საფეხურზე ენის შემსწავლელთა მოეთხოვებათ თარგმნის მეტი სიზუსტე. “სტუდენტებს აწვდიან ზმნების შედარებით ანალიზს, ქართული ენის ზმნის ყველა კატეგორია ითხოვს ძალიან დიდ ყურადღებას, რადგან მათი აღმნიშვნელი მარკერები ზმნაშია მოთავსებული. ზმნათა დაჯგუფების დროს გასათვალისწინებელია მათი მორფოსინტაქსური სპეციფიკა: სტრუქტურა, კონსტრუქცია და პოლიპერსონალიზმი. ზოგი მეცნიერთათვის ამოსავალია გვარი და გარდამავლობა, ზოგისთვის სტრუქტურა და კონსტრუქცია. სწავლების მაღალ ეტაპზე ინგლისური ენის შემსწავლელთა მხრიდან აუცილებელია მშობლიურ ენაში პარადიგმის სრული ცოდნა მწკრივების მიხედვით” [1: 11].

საინტერესოა ზოგი მაგალითი თარგმნის სიზუსტესთან დაკავშირებით. – I don't think you are right, არასწორია: მე არ ვფიქრობ შენ მართალი ხარ, უნდა იყოს: მე ვფიქრობ არა ხარ მართალი. რთული ქვემდებარის თარგმა ასე ხდება – He seems to be an honest man. არასწორია: იგი ჩანს პატიოსანი კაცი, სწორია: ჩანს იგი პატიოსანი კაცია. He is supposed to be a thief. – ვარაუდობენ რომ იგია ქურდი.

ხშირად პირობით წინადადებებს ვერ თარგმნის ენის შემსწავლელი, თუკი მას ეს მასალა ახალი შესწავლილი აქვს.

მაგ: If I come in time, we'll go to him.

Iპირ. თუ ადრე მოვალ, კინოში წავალთ.

II პირ. If I came in time, we would go to him.

რომ მოვიდოდე დროზე, წავიდოდითმასთან

III პირ. If I had come in time, we would have gone to him.

დროზე რომ მოვსულიყავი, წავიდოდით მასთან.

პირველ წინადადებაში If ითარგმნება 'თუ'- თი, მეორე და მესამეში როგორც 'რომ'.

ყველა წინადადება პირობითია, მაგრამ პირველი რეალობას გვიჩვენებს, მეორე და მესამე არარეალობას.

საინტერესოა აგრეთვე ინგლისური ენაში ზოგიერთი გრძნობა-აღქმის ზმნასთან ზედსართავი სახელების ხმარება, როცა ქართულ ენაზე ისინი ვითარების გარემოებად ითარგმნება.

You look happy. ბედნიერად (და არა ბედნიერი გამოიყურები)

I feel myself guilty თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

It smells terrible. საშინელი სუნი აქვს – თარგმან სხვაგვარია

მაგრამ She is smelling a flower. იგი ყვავილს ყნოსავს.

It tastes bland. უგემურია (გემო არა აქვს)

მაგრამ The cook is tasting his dish. მზარეული კერძს სინჯავს.

როგორც დავინახეთ ინტერფერენციის მაგალითები სხვადასხვა ტიპისაა. მნიშვნელობა იგივე აქვთ, მაგრამ ზოგჯერ გვაქვს განსხვავებული დისტრიბუცია, განსხვავებული ფორმა ან განსხვავებული ფორმა და დისტრიბუცია, რაც თარგმანში იწვევს გაუგებრობას და ორაზროვნებას. ყველა რთულ სტრუქტურას შორისაა ისინი, რომლებიც სრულ ადეკვატს კი არ წარმოადგენს, არამედ რომელშიც ფორმის, მნიშვნელობის და ან განაწილების თვალსაზრისით ნაწილობრივი გადაფარვა ხდება. დიდი ალბათობით სწორედ ეს იწვევს ინტერფერენციას [1: 34]

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია როგორ მორფოლოგიიდან, ასევე სინტაქსიდან, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ არსებული შეცდომების გამოსწორება შევძლოთ თუკი ქართველ ავტორთა მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები მიზნად

დაისახავენ ინტერფერენციის აღმოფხვრას. ამ საკითხის მკვლევარებიც იზიარებენ ჩვენს მოსაზრებას. მაგალითად ს. თოთიბაძე [1: 37] რომელიც ექსპერიმენტს ეფუძნება აღნიშნავს, რომ დიდია მშობლიური ენის როლი მეორე ენის შესწავლის საქმეში. ეს კი იმით არის განირობებული, რომ ორ ენას (L1 და L2) შორის მსგავსება-განსხვავებანი დაწვრილებით უნდა ავუხსნათ ენის შემსწავლელთ. ქეთევან სოფრომაძე კიდე უფრო მეტს გვთავაზობს. მისი შეხედულებით უნდა გამოიყოს თარგმანის ზოგადი კონცეფცია, ვინაიდან სასწავლო თარგმანი გამოიყენება მხოლოდ სასწავლო მიზნით, როგორც უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი ხერხი. ეს ხერხი გვეხმარება ჩავწვდეთ შესასწავლი ენის საფუძვლებს, გავცნოთ თარგმანის მეთოდისკა და ტექნიკას, გავაღრმავოთ ენის ცოდნა, უცხო ენის სწავლებისას გადავწყვიტოთ ისეთი ამოანები როგორცაა უცხო ენის ცოდნის გამყარება და სისტემატიზაცია გრამატიკის, ლექსიკის, სინტაქსისა და სტილისტურ სფეროში მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის საკითხში, რაც ხელს შეუწყობს უცხო ენის დაუფლებას [1: 118]. ჩვენი მიზანიც ხომ ესაა - ყურადღება გავამახვილოთ იმ სტრუქტურულ და პრაქტიკულ ასპექტებზე რომელიც უკავშირდება ინგლისურ ენაში ქართველ შემსწავლელთა ტიპურ შეცდომებს. აქვე აღნიშვნის ღირსია შემდეგიც: „ენათაშორისი ინტერფერენციის დასაძლევად ე. წ. პირდაპირი მეთოდის მიმდევრები უცხო ენის სწავლების პროცესიდან დედაენის გავლენას გვთავაზობენ, რაც კიდევაც რომ შევძლოთ ადმინისტრაციული ღონისძიებებით და ერთენოვანი სავარჯიშოების და თვალსაჩინოების გამოყენებით, გონებიდან მათი განდევნა ყოვლად შეუძლებელია (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე), რადგან ყველანაირი სწავლა მშობლიური ენის მონაწილეობით მიმდინარეობს. ზოგჯერ დედაენას ყავარჯენს ადარებენ, რომელსაც ავადმყოფი გამოჯანმრთელების შემდეგ აგდებს. ჩვენ კი დედაენას ვადარებთ თვითმფრინავს ბორბლებს რომელზეც თვითმფრინავი აუცილებლად უნდა გაგორდეს სანამ ზეცაში აიჭრებოდეს და საკუთარ ფრთებზე ე. ი. ამ უცხო ენის უკვე ათვისებულ ცოდნაზე დაეყრდნობოდეს. შეპირისპირებითი ანალიზი ეს არის გზა არა ბრმად დედაენის გამოყენება, არამედ გააზრებული და გეგმაზომიერი თანამშრომლობა მათთან“ [3: 20]

საინტერესო იქნება ინგლისური ენის ქართველი მასწავლებლებისათვის, რომელთა მიზანიც არის დაეხმარონ სტუდენტებს აუცილებელი ენობრივი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურა:

1. მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვისტური განათლების კონტექსტში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტი, საერთაშორისო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი, მესამე საერთაშორისო კონფერენცია, 2018, თბილისი, საქართველო, მოხსენებათა თეზისი
2. მურიელ სავილიე-ტროიკე, შესავალი მეორე ენის ათვისებაში, მეორე გამოცემა, Cambridge university press, JPCR, მთარგმნელი ქ. გოჩიტაშვილი, თბილისი 2016
3. აკაკი მუმლაძე - როგორ ვასწავლოთ უცხო ენა უცხოოდ რომ არ დარჩეს, თბილისი, 2020 ივერიონი, 2020

**Peculiarities of translating some English constructions
into the Georgian language**

Abstract

The article deals with language interference in the languages of different systems (English and Georgian). The aim of the work is to give some advice and recommendations to the teachers of English who find difficult to get over the interference. Considering some similarities and differences in the structures of the source languages is sure to help teachers and learners of English to use some activities that represent relevant remedies to avoid interference.